ჩანაცვლებითი ტრავმა: რუსეთის უკრაინაზე თავდასხმის მომზადება[1]

ჯანა ჯავახიშვილი[2]

საკვანძო გზავნილები

- გადაუმუშავებელი კოლექტიური ტრავმა (ანუ, „ისტორიული ტრავმა“) ქმნის ნოყიერ ნიადაგს პოლიტიკური მანიპულაციებისთვის.
- ძალაუფლების მოსაპოვებლად და გასამყარებლად, დესტრუქციულმა პოლიტიკურმა ლიდერმა შესაძლოა გამოიყენოს გადაუმუშავებელი კოლექტიური ტრავმა ე.წ. „ჩანაცვლებითი ტრავმის“ კონსტრუირებისთვის, რაც მსხვერპლობისა და რევანშიზმის განცდების წახალისებასა და ახალ ობიექტზე გადატანს (ობიექტის ჩანაცვლებას) გულისხმობს.
- ფსიქოტრავმის სპეციალისტებმა მეტი ძალისხმევა უნდა ჩადონ მაკროსოციალური პროცესების გაგების საქმეში, რათა შეიტანონ წვლილი გადაუმუშავებელ ტრავმებთან დაკავშირებული დესტრუქციული სოციო-პოლიტიკური პროცესების ადრეულ გამოვლენასა და თავიდან აცილებაში.

აბსტრაქტი

გადაუმუშავებელი კოლექტიური ტრავმა ქმნის ნოყიერ ნიადაგს პოლიტიკური მანიპულაციებისთვის. ამ სტატიაში გთავაზობთ „ჩანაცვლებითი ტრავმის“ ახალ კონცეპტს. ჩანაცვლებითი ტრავმის ქვეშ ვგულისხმობ დესტრუქციული პოლიტიკური ლიდერის მიერ გადაუმუშავებელი კოლექტიური ტრავმული გამოცდილებისა და მასთან დაკავშირებული მსხვერპლობისა და რევანშიზმის განცდების აქტუალიზებას, მიმართვას ახალ ობიექტზე (ობიექტის ჩანაცვლებას), და გამოყენებას პოლიტიკური მანიპულაციებისთვის, საკუთარი ძალაუფლების გასამყარებლად. სტატიაში გაანალიზებულია ის, თუ როგორ მიაღწია კულმინაციას ჩანაცვლებით ტრავმაზე დაფუძნებულმა დესტრუქციულმა ფსიქო-პოლიტიკურმა დინამიკამ რუსეთში და გადაიზარდა უკრაი-

1) ეს სტატია ეფუძნება საკონფერენციო მოხსენებას „კოლექტიური ტრავმა, პოპულიზმი და ომი: რუსეთისა და საქართველოს შემთხვევების ანალიზი“. მოხსენება შედგა 2022 წლის 20 სექტემბერს ნიდაში, ლიეტუვა, ტომას მანის ფონდის მიერ გამართულ ყოველწლიურ მულტიდისციპლინურ კონფერენციაზე: https://www.mann.lt/en/archive/collective-trauma-populism-and-war-the-case-studies-of-russia-and-georgia

2) პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო. კორესპონდენცია: darejan.javakhishvili.1@iliauni.edu.ge

https://doi.org/10.7146/torture.v33i3.141714

International Rehabilitation Council for Torture Victims.

ნაზე სრულმასშტაბიან თავდასხმაში 2022 წლის თებერვალში. სტატიაში ნამსჯელია იმის თაობაზე, რომ ტრავმული სტრესის სპეციალისტებს, მაკრო-სოციალური პროცესების შესწავლის გზით, შეუძლიათ შეიტანონ წვლილი ამგვარი დესტრუქციული სოციო-პოლიტიკური განვითარების რისკის შემცირებაში.

საკვანძო სიტყვები: ჩანაცვლებითი ტრავმა, კოლექტიური ტრავმა, ისტორიული ტრავმა, წარსულთან გამკლავება, გადაუმუშავებელი გლოვა, ავთენტური გლოვა, პოლიტიკური მანიპულაცია, რუსეთის თავდასხმა უკრაინაზე

შესავალი

რუსეთის სრულმასშტაბიანი თავდასხმა უკრაინაზე, რომელიც დაიწყო 2022 წლის 24 თებერვალს, იყო წინასწარმეტყველებადი, რამდენადაც წარმოადგენდა ლოგიკურ გაგრძელებას იმ ავთვისებიანი სოციო-პოლიტიკური განვითარებისა, რასაც ჰქონდა (და აქვს) ადგილი რუსეთში ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისიდან. ეს ავთვისებიანი პროცესები დიდწილად ეფუძნება გადაუმუშავებელ კოლექტიურ ტრავმებს, ან ე.წ. ისტორიულ ტრავმებს (Maercker, 2023). სტატიის პირველ ნაწილში განხილულია, თუ როგორ შეუძლია კოლექტიურ ტრავმას შეარყიოს საზოგადოების კეთილდღეობა იმ შემთხვევაში, თუ არ არის ავთენტურად გამოგლოვებული. სტატიის მეორე ნაწილი აღწერს მსხვილი მასშტაბის ორ კოლექტიურ ტრავმას, რაც რუსეთის მოსახლეობამ გამოიარა მეოცე საუკუნეში (საბჭოთა რეპრესიები და მეორე მსოფლიო ომი). სტატიის მესამე ნაწილში გაანალიზებულია ის, თუ როგორ გამოიყენა მეოცე საუკუნის გამოუგლოვებელი ტრავმები რუსეთის პოლიტიკურმა ლიდერმა ჩანაცვლებითი ტრავმის შესაქმნელად და შესაბამისი პოლიტიკური მანიპულაციებისთვის. მეოთხე ნაწილში გადმოცემულია ამ ანალიზის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები და ნამსჯელია ამგვარი რისკების შემცირების შესაძლო სტრატეგიებზე.

გადაუმუშავებელი კოლექტიური ტრავმა საზოგადოებას აქცევს პოლიტიკური მანიპულაციების იოლ სამიზნედ

ომები, სტიქიური უბედურება, გენოციდი, თუ სხვა მასობრივი პოტენციურად მატრავმირებელი მოვლენები, რაც მოიცავს მრავლობით დანაკლისს, საჭიროებს ავთენტურ გამოგლოვებას. დანაკლისისთვის საზრისის/მნიშვნელობის მინიჭება გამოგლოვების მნიშვნელოვანი კომპონენტია, მას შეუძლია კონსტრუქციული ან დესტრუქციული გავლენა მოახდინოს გლოვის პროცესზე, რაც განსაზღვრავს დანაკლისით გამოწვეული ფსიქოლოგიური ზარალის ხარისხს (Smid, 2020; Milman et al, 2017). ტრავმული გამოცდილების მეხსიერების პოლიტიკას, ასევე, შესაძლოა ჰქონდეს პოზიტიური ან ნეგატიური გავლენა, რაც მთელ რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული (Mitima-Verloop, Boelen & Mooren, 2020; Volkan, 2006). შესაბამისად, როგორც საზრისის ჩადება, ასევე მეხსიერების პოლიტიკა შესაძლოა გამოყენებულ იქნას, როგორც დაზარალებული საზოგადოებით პოლიტიკური მანიპულირების ინსტრუმენტი.

დიდი ჯგუფის (როგორიცაა, მაგალითად, ერი) გამოუგლოვებელი კოლექტიური ტრავმის გამოცდილება შესაძლოა გახდეს ამ ჯგუფის ზრდისა და განვითარების სტიმული, ან საპირისპიროდ - საზოგადოების კეთილდღეობის მუქარა და რისკის ფაქტორი, რაც დამოკიდებულია ერთი მხრივ იმაზე, თუ როგორ (კონსტრუქციულად თუ დესტქრუქციულად) იყენებს მას მმართველი პოლიტიკური გუნდი, და მეორე მხრივ - საზოგადოების ცნობიერ და არაცნობიერ სურვილებსა და საჭიროებებზე (Volkan, 2019,

2009, 199; 1997 და სხვ.; Hopper, 2003; Javakhishvili, 2014; Javakhishvili, 2018).

პირველ შემთხვევაში პროცესი ეფუძნება კოლექტიური ტრავმული გამოცდილების ავთენტურ გლოვას, რომელიც იძლევა მტკივნეულ გამოცდილებაში დადებითი საზრისის ჩადებისა და შესაბამისი გაკვეთილების გამოტანის შესაძლებლობას; ეს, თავის მხრივ, აძლევს საშუალებას დიდ ჯგუფს იმუშავოს იმაზე, რომ გარემომცველი სინამდვილე უკეთესი გახდეს (Hopper, 2003; Volkan, 2007). ხოლო მეორე შემთხვევაში, გადაუმუშავებელი კოლექტიური ტრავმა დესტრუქციულ პოლიტიკურ ლიდერს საშუალებას აძლევს გამოიყენოს ის, როგორც ინსტრუმენტი საკუთარი ძალაუფლების გასამყარებლად (Volkan, 1997; Volkan & Javakhishvili, 2022; Kyle & Gultchin, 2018). ეს სტატია სწორედ ამ უკანასკნელ ვითარებას აანალიზებს, თანამედროვე რუსეთის მაგალითზე.

მეოცე საუკუნის გადაუმუშავებელი ტრავმები რუსეთში

რუსმა ჟურნალისტმა ვლადიმირ იაკოვლევმა, რომლის ბაბუაც კაგებეს ოფიცერი იყო, ხოლო ბებია კი კაგებესთან აფილირებული აგენტ-პროვოკატორი, მას მერე, რაც აღმოაჩინა თავისი ოჯახის ეს არასახარბიელო ისტორია, სიმართლესთან გამკლავების პროცესში დაწერა შემდეგი (Yakovlev, 2016, p.1):

"სკოლაში გვიყვებოდნენ იმ სისასტიკეებზე, რაც გერმანელმა ფაშისტებმა ჩაიდინეს; უნივერსიტეტებში გვიყვებოდნენ იმ სისასტიკეზე, რასაც ჩინეთის წითელი გვარდია და კამპოჯაში წითელი ქმერების რეჟიმი სჩადიოდნენ. მაგრამ ჩვენს მასწავლებლებს დაავიწყდათ ეთქვათ ჩვენთვის, რომ ყველაზე საშინელი გენოციდი კაცობრიობის ისტორიაში თურმე ჩვენს საკუთარ ქვეყანაში იქნა ჩადენილი, და ამ საშინელებაში ცხოვრობდნენ არა ჩინელები და კორეელები, არამედ ჩვენი საკუთარი ოჯახების სამი ერთმანეთს მიყოლებული თაობა. ხშირად ჩვენ მცდარად გვგონია, რომ წარსულისგან თავის დაცვის საუკეთესო გზა მისი არცოდნაა. სინამდვილეში, ეს უარესია. რაც არ ვიცით, ის განაგრძობს ჩვენზე ზემოქმედებას - ბავშვობის მოგონებების, მშობლებთან ურთიერთობის გზით; არცოდნის გამო ჩვენ ვერ ვამჩნევთ წარსულის გავლენას და ამდენად, ვართ უძლურნი წარსულის და მასთან დაკავშირებული შიშების წინაშე... არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა წარმოადგენს თითოეული ჩვენგანის შემთხვევაში ამ შიშების განსხეულებას, ვის ვხედავთ დღეს როგორც საფრთხეს - ამერიკას, კრემლს, უკრაინას, ჰომოსექსუალებს, თურქებს, „გადაგვარებულ ევროპას", „მეხუთე კოლონას" თუ ვინმე სხვას... მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად ვხვდებით, რომ ეს ჩვენი შიშები და გარე საფრთხის ჩვენი დღევანდელი აღქმა მხოლოდ და მხოლოდ წარსულის აჩრდილებს წარმოადგენს, იმ წარსულისა, რომლის აღიარებისაც ასე გვეშინია".

იაკოვლევი, ფაქტობრივად, საუბრობს საბჭოთა რეჟიმთან დაკავშირებულ ტრავმაზე, რომელიც თანამედროვე რუსეთში არ არის არც აღიარებული, არც გადამუშავებული ფსიქოლოგიურად თუ სამართლებრივად; ამავე დროს, საექსპერტო შეფასებით, სულ ცოტა 11 მილიონი ადამიანი იყო რეპრესირებული - მოკლული ან გადასახლებული საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებში (Roginski & Zhmekova, 2016). ბორის ელცინის მმართველობის დროს (1991-1999 წლები) რუსეთში ჰქონდა ადგილი წარსულთან გამკლავების მოკრძალებულ მცდელობებს. მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაცია „მემორიალმა", რომელიც შეიქმნა იმ

ადამიანების (და/ან მათი ოჯახის წევრთა) ინიციატივით, ვინც რეპრესიებს დაექვემდებარა, დაიწყო შემთხვევების გამოძიება, მსხვერპლთა მემორიზება - და ამდენად, ავთენტური გლოვის პროცესი. მას მერე რაც რუსეთს სათავეში პუტინი ჩაუდგა, „მემორიალი" თანდათან შეზღუდეს, ხოლო პუტინის ხელისუფლების მიერ 2012 წელს „უცხო აგენტის" კანონის მიღების შემდგ ორგანიზაცია დაიხურა.

რუსი ერის მეორე გადაუმუშავებელი ტრავმა ეხება მეორე მსოფლიო ომთან, ანუ, როგორც რუსეთში ეძახიან, „დიდ სამამულო ომთან" დაკავშირებულ მტკივნეულ გამოცდილებებს. რუსეთში ფართოდ გავრცელებულ საბჭოთა პროპაგანდისტულ ნარატივში არ არის ასახული ფაქტი, რომ ომი დაიწყო არა მაშინ, როცა გერმანია თავს დაესხა რუსეთს, არამედ მაშინ, როცა რუსეთმა და გერმანიამ გადაინაწილეს ევროპა ერთმანეთს შორის, მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის საშუალებით. აქედან გამომდინარე, მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული ტრავმის ავთენტური გამოგლოვების აუცილებელი პირობა - გულწრფელი აღიარება საკუთარი პასუხისმგებლობისა იმაში რაც მოხდა, ვერ იქნა შესრულებული, შესაბამისი გაკვეთილები ვერ იქნა გამოტანილი. ომის ნარატივი, რომელიც საბჭოთა პროპაგანდამ შექმნა, რუსეთს წარმოადგენს, ერთი მხრივ, როგორც „გერმანიის ვერაგული თავდასხმის მსხვერპლს", მეორე მხრივ, როგორც „დანარჩენი მსოფლიოს მხსნელს". შედეგად, მეორე მსოფლიო ომის ტრავმის ავთენტური გამოგლოვების ადგილი დაიკავა ე.წ. „გამარჯვებულის გლოვამ", რაც ერლ ჰოფერის (2003) მიხედვით პათოლოგიური გლოვის ფორმაა, რომელსაც დიდი ჯგუფი არაჯანსაღი პროცესებისკენ მიყავს. მართლაც, „გამარჯვებულის გლოვის" მოდუსი პუტინის მმართველობის დროს გადაიზარდა უკვე „რევანშისტული გლოვის" (Hopper, 2003) მოდუსში, და მოხდა ძველი მტრის ხატის („ფაშისტი") პროეცირება მთელ რიგ „უცხო" ობიექტებზე: დასავლეთი, უკრაინა, საქართველო, ამერიკა, ლიბერალები, ევროპა და ა.შ. ამის თვალსაჩინო ილუსტრაციაა ტერმინი, რომელსაც რუსი ოფიციალური პირები იყენებენ უკრაინაზე თავდასხმის აღსანიშნავად - „დენაციფიკაცია".

ჩანაცვლებითი ტრავმის, როგორც პოლიტიკური მანიპულაციის იარაღის, კონსტრუირება

ამ ორი დიდი მასშტაბის გადაუმუშავებელი ტრავმის პირობებში, რუსული საზოგადოება იქცა პოლიტიკური მანიპულაციების იოლ სამიზნედ. ამ მიზნით, პუტინის პროპაგანდამ შექმნა ახალი, „ჩანაცვლებითი ტრავმა" თავისი ელექტორატისთვის: საბჭოთა კავშირის დანგრევა. თანამედროვე რუსეთის სოციო-პოლიტიკური ცხოვრება მნიშვნელოვანწილად ამ ჩანაცვლებითი ტრავმის ფსიქოდინამიკით არის განსაზღვრული.

როდესაც პუტინმა მოიპოვა ძალაუფლება - ჯერ როგორც პრემიერმინისტრმა (1999 წელი) და მერე უკვე როგორც პრეზიდენტმა (2000 წელი), მან მოახდინა საკუთარი თავის პოზიციონირება, როგორც ლიდერისა, რომელსაც შეუძლია გადაჭრას გახანგრძლივებული პოლიტიკური პრობლემები (მაგ., ჩეჩენი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის) სამხედრო ძალის გამოყენებით. ჩეჩნეთის დამარცხებაში წარმატებამ გაზარდა ელექტორატში მისი მხარდაჭერა და ამდენად, დადებითად განამტკიცა სამხედრო აგრესიისა და ტერორის გამოყენების საშინაო თუ საგარეო კურსი. გამომდინარე თავისი პოლიტიკური წარსულიდან და პიროვნული თავისებურებებიდან (Volkan & Javakhishvili, 2022), პუტინის პოლიტიკურმა დღის წესრიგმა საბჭოთა/რუსული იმპერიის აღდგენისა და რუსეთის ყოფილი კოლონიების რეკოლონიზების გრძელვადიანი გეგმის ავთვისებიანი სახე მიიღო.

2005 წლის აპრილში, რუსეთის ფედერაციის ასამბლეაზე წარმოთქმულ სიტყვაში პუტინმა საბჭოთა კავშირის დაშლა დაახასიათა, როგორც მეოცე საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა, და მოუწოდა სხდომასა და უფრო ფართო რუსულ საზოგადოებას „ერის რეკონსოლიდაციისკენ". მოგვიანებით, მან ყურადღება გაამახვილა სტატისტიკაზე, რომლის თანახმადაც საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტში 25 მილიონი რუსი ცხოვრობდა ყოფილ რესპუბლიკებში, რომელთათვისაც მტკივნეული იყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს უცხო ქვეყანაში გაიღვიძეს.

სინამდვილეში, საბჭოთა კავშირის დაშლამ არა თუ ტკივილი, არამედ თავისუფლება მოუტანა, და არა მხოლოდ კოლონიებს, არამედ თავად რუს ხალხსაც. მიუხედავად ამისა, პუტინმა წარმატებით მოახერხა, რომ რეპრესიებთან და მეორე მსოფლიო ომის ტრავმებთან დაკავშირებული მტკივნეული ემოციები (შიში, ბრაზი, შფოთვა, სევდა და ა.შ.) დაეკავშირებინა საბჭოთა კავშირის დაშლასთან. მტრის ხატის პროეცირება მოხდა დასავლეთზე, რომელსაც პუტინი საბჭოთა კავშირის დაშლაში ადანაშაულებს, კომუნისტური პარტიის ელიტასთან ერთად.

ამგვარად შექმნილი ჩანაცვლებითი ტრავმის ინსტიტუციონალიზაციისთვის 2013 წელს პუტინმა გამოსცა რუსეთის საჯარო სკოლებისთვის ისტორიის უნიფიცირებული სახელმძღვანელოს შექმნის ბრძანება. სახელმძღვანელო დაეფუძნა ისტორიის ოფიციალურ საბჭოთა ნარატივს, ყოველგვარი „გადახვევებისა" და „არათანმიმდევრულობების, ორმაგი მნიშვნელობებისა და სხვაგვარი ინტერპრეტაციების" გამორიცხვით (Kovalyova, 2013). განსაკუთრებული ადგილი სახელმძღვანელოში დაეთმო მეორე მსოფლიო ომს, ყირიმის საკითხის ჩათვლით.

ჩანაცვლებითი ტრავმის კონსტრუირებისთვის ამოქმედებულია უწყვეტი პროპაგანდის სხვადასხვა არხი. ბავშვები და ახალგაზრდები პროპაგანდის ერთ-ერთი ძირითადი სამიზნეა, რისთვისაც სახელმწიფო ე.წ. „პატრიოტულ აღზრდას" (საბჭოთა „პატრიოტული აღზრდის" მემკვიდრეს) იყენებს. „პატრიოტული აღზრდის" საკვანძო ინსტიტუციური მექანიზმია „რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა პატრიოტული განათლების ეროვნული პროგრამა", რომელიც 2001 წლიდან ხორციელდება 5-წლიანი ეროვნული სამოქმედო გეგმების სერიის მეშვეობით. პროგრამა მოიცავს მთელ რიგ მიმართულებებს, რომელთა განსახორციელებლადაც, თავის მხრივ, სხვადასხვა ინსტიტუციური ინსტრუმენტები იქმნება. ილუსტრაციისთვის, ქვევით აღწერილია პროგრამის ე.წ. „სამხედრო-პატრიოტული აღზრდის" მიმართულების ორი ასეთი ინსტრუმენტი:

„ახალგაზრდული არმია" *("Юнармия") არის ორგანიზაცია, რომელიც აგებულია ჰიტლერიუგენდის მოდელის მიხედვით და აერთიანებს 11-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდებს. ის დაფუძნდა 2016 წელს, პირადად რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის, სერგეი შოიგუს მიერ. ორგანიზაციის წევრების რაოდენობა გაიზარდა 108 მოზარდიდან 2016 წელს 1.4 მილიონ მოზარდამდე 2023 წელს[3]. იუნარმიის წევრებს აქვთ საშუალება რუსეთის სამხედრო ბაზებზე გაიარონ წვრთნა სროლაში და უცნობ ტერიტორიაზე ორიენტაციაში; ისინი, ასევე, მონაწილეობენ მეორე მსოფლიო ომის კონკრეტული ისტორიული ბრძოლების*

3 მონაცემები ამოღებულია ინტერნეტ-გვერდიდან https://yunarmy.ru/ წვდომა 30.10.2023

კვლევისა და ომის ვეტერანებზე ზრუნვის პროექტებში. 1921 წელს რუსულ მედიაში გაშუქდა იუნარმიის წევრი მოზარდების მიერ საბავშვო საზაფხულო ბანაკზე თავდასხმის ფაქტი[4].

„ახლგაზრდული ანტიფაშისტური მოძრაობა ჩვენები“ *(„Наши“), დაფუძნდა პუტინის ადმინისტრაციის მხარდაჭერით 2005 წელს, 18 წელზე უფროსი ახალგაზრდებისთვის, უნივერსიტეტის სტუდენტების ჩათვლით. მოძრაობა შეიქმნა, როგორც რეჟიმის მომხრე ძალა, ელექტორალური მხარდაჭერის სამობილიზაციოდ და ოპოზიციის წინააღმდეგ საბრძოლველად, მათ შორის ქუჩის აქციებით. ის იყო პასუხი საქართველოს 2003 წლისა და უკრაინის 2004 წლის „ფერად რევოლუციებზე“ (Atwal & Bacon, 2012). ოფიციალურად, მოძრაობა „ნაშის“ ამოცანები ფორმულირებულია, როგორც რუსეთის მთლიანობისა და სუვერენობის დაცვა, ქმედითი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, მოდერნიზაციის ადვოკატირება „პერსონალის რევოლუციის“ გზით. თუმცა, მოძრაობის ერთ-ერთმა თავდაპირველმა ლიდერმა ვასილი იაკამენკომ, მოძრაობის შექმნის აღსანიშნავ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ „ნაში“ განიხილავს რუსეთს, როგორც მსოფლიოს ისტორიულ და გეოგრაფიულ ცენტრს, რომელსაც ემუქრება „არაბუნებრივი ალიანსი ლიბერალებისა, ფაშისტებისა, მედასავლეთეებისა, ულტრანაციონალისტებისა, საერთაშორისო ფონდებისა, და ტერორისტებისა“. ეს ალიანსი, იაკამენკოს თქმით, გააერთიანა გაზიარებულმა მტრულმა განწყობილებამ რუსეთის პრეზიდენტის, პუტინის მიმართ[5]. ხელისუფლების მომხრე რამდენიმე ულტრანაციონალისტურ მოძრაობად გარდაქმნამდე, „ნაშიმ“ განახორციელა მთელი რიგი პროექტებისა, რომელთაგან ნაწილი სრულად იყო ფოკუსირებული სამხედრო თემატიკაზე. მაგ., პროექტი „ჩვენი არმია“, რომლის ფარგლებშიც „ნაშის“ ლიდერებს, ე.წ. „კომისრებს“, აგზავნიდნენ სამხედრო სამსახურში, სადაც მათ სასათბურე პირობებში ამყოფებდნენ (ფიზიკური ვარჯიში, სწავლა, თვითგანვითარება და ა.შ.), და საიდანაც ისინი სოციალური ქსელების მეშვეობით ახდენდნენ სამხედრო სამსახურის პროპაგანდას. მეორე მაგალითი - პროექტი „ჩვენი საერთო გამარჯვება“, რომლის ფარგლებშიც გროვდებოდა ინფორმაცია და იღებდნენ ვიდეო ინტერვიუებს მეორე მსოფლიო ომის შესახებ. ვიდეო პროდუქციაში სტალინი გამოყვანილია, როგორც მამობრივი ფიგურა და მხსნელი.*

„დიდი სამამულო ომი“, როგორც რუსეთში უწოდებენ მეორე მსოფლიო ომს, „პატრიოტული აღზრდის ეროვნული პროგრამის“ ცენტრალური თემაა. შესაბამისად, მეორე მსოფლიო ომზე ინფორმაციის გავრცელება ქვეყნის განათლების პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი გახდა.

2015 წლიდან (მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების 70-ე წლისთავი) მოყოლებული, რუსეთის საბავშვო ბაღების ვებსაიტებზე არის სპეციალურად გამოყოფილი სექციები, სადაც განთავსებულია რეკომენდა-

4 „В детском лагере Новосибирской области юнармейцы устроили стрельбу из охолощенного оружия“ https://novayagazeta.ru/articles/2021/07/09/v-detskom-lagere-v-novosibirskoi-oblasti-iunarmeitsy-ustroili-strelbu-iz-okholoshchennogo-oruzhiia, წვდომა 29.10.2023

5 „ნაშის“ ერთ-ერთი დამფუძნებლისა და ლიდერის ვ. იაკამენკოს პრესკონფერენციის მედია გაშუქება https://www.rosbalt.ru/main/2005/04/15/204772.html , წვდომა 29.10.2023

ციები მშობლებისთვის იმის თაობაზე, თუ რატომ და როგორ უნდა ესაუბრონ ისინი „დიდ სამამულო ომზე“ თავის სკოლამდელი ასაკის შვილებს.[6,7]. მშობლებისთვის რეკომენდაციების გარდა, ამგვარი გვერდები ხშირად შეიცავს ნახატებს ბავშვებისთვის, სადაც აღბეჭდილია სხვადასხვა ბრძოლის სცენები, დაჭრილი ჯარისკაცები ჰოსპიტლებში, საბჭოთა ლიდერების - ლენინისა და სტალინის პორტრეტები და ა.შ.; ამავე გვერდებზე ხშირად ბავშვი ჯარისკაცები წარმოდგენილი არიან, როგორც გმირები და როლური მოდელები თანამედროვე რუსი ბავშვებისთვის. საილუსტრაციოდ, იხ. მოსკოვის 47-ე საბავშვო ბაღის ვებგვერდზე გამოსახული ბავშვი ჯარისკაცის პორტრეტი; მშობლებისთვის რეკომენდაციების სექციაში მათ ურჩევენ, რომ ესაუბრონ თავინთ სკოლამდელ შვილებს რუს ბავშვ ჯარისკაცებზე, როგორც გმირებზე, რომლებმაც ითამაშეს მნიშვნელოვანი როლი დიდ სამამულო ომში (სურათი 1).

ომში გამარჯვების 70-ე წლისთავისთვის, 2015 წელს, ბევრმა საბავშვო ბაღმა და სკოლამ ორგანიზება გაუწია „დიდ სამამულო ომზე“ სპექტაკლების დადგმას, სადაც ბავშვები და პედაგოგები ერთად თამაშობდნენ. ეს სპექტაკლები, ძირითადად, მიყვება უნიფიცირებულ ნარატივს, რომელიც აღწერს ბედნიერ ცხოვრებას ომამდე, ფაშისტების თავდასხმას, ბრძოლას, დანაკლისს, და გამარჯვების ზეიმს. ამ სპექტაკლებში ხშირად თვალსაჩინოა ნეკროფილური აქცენტები - მაგ., ბავშვები თამაშობენ გარდაცვლილი მეომრების საფლავის ქვებს, დარბაზში მსხდომ დედებს აწოდებენ სცენიდან საკუთარი გარდაცვალების შეტყობინებებს და ა.შ. „დიდ სამამულო ომთან“ დაკავშირებულ ღონისძიებებზე, ბავშვები, მათი მშობლები და მასწავლებლები წახალისებულები არიან გამოიყენონ/ჩაიცვან 1940-იანი წლების სამხედრო ფორმის სტილის ტანსაცმელი და გამოიყენონ შესაბამისი სიმბოლიკა. ილუსტრაციისთვის, გთავაზობთ ტამბოვში, 2015 წელს განხორციელებულ მოქალაქეთა მსვლელობას (იხ. სურათი 2).

თანდათან, 1940-იანების სტილის საბავშვო სამხედრო უნიფორმა გახდა პოპულარული რუსეთის მოსახლეობაში. ბაზრის კანონის შესაბამისად, ზრდადი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რუსეთის ბაზარზე გაჩნდა ბავშვების სამხედრო ტანსაცმლის მაღაზიები (იხ. სურათი 3).

ე.წ. „სამხედრო-პატრიოტული აღზრდის“ ტოქსიკური პროპაგანდის კიდევ ერთი მაგალითია რუსეთში 2015 წელს გამოცემული „ბავშვების წიგნი ომზე“, შედგენილი იმხანად მოსკოვის ხელისუფლების მფლობელობაში მყოფი გაზეთის („Аргументы и факты“) ჟურნალისტების მიერ, „დიდ სამამულო ომში“ გამარჯვების 70-ე წლისთავზე[8]. წიგნი შეიცავს საბჭოთა ბავშვების 35 დღიურს, სადაც ისინი აღწერენ მათ ომთან დაკავშირებულ მძიმე გამოცდილებებს, შიმშილის, ოჯახის წევრების გარდაცვალების, გარდაცვლილი ოჯახის წევრთა გვამებზე ზრუნვის ჩათვლით. პუბლიკაციიდან არ არის ცხადი, წიგნში გადმოცემული ამბები და პერსონაჟები ნამდვილია, თუ გამოგონილი. დღიურების გადმოცემას წინ უძღვის მწერლის დანიილ გრანინისა და მხატვრის ილია გლაზუნოვის წინასიტყვაობები. თავის წინასიტყვაობაში, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი

6 მოსკოვის 47-ე საბავშვო ბაღის ვებგვერდის სექცია მშობლებისთვის, https://mou47.oshkole.ru/news/73358.html წვდომა 29.10.2023

7 ქალაქ კუზნეცკის საბავშვო ბაღის ვებგვერდი “სკოლამდელებს ომზე: დიდი სამამულო ომი”, https://ds-2-kuznetsk.nubex.ru/7650/7654/, წვდომა 29.10.2023

8 ბავშვების წიგნი ომზე (რუსულ ენაზე) https://avidreaders.ru/download/detskaya-kniga-voyny-dnevniki-1941-1945.html?f=pdf წვდომა 8.11.2023

სურათი 1: ნახატი "ბავშვები, ომის გმირები"

და სანქტ პეტერბურგის საპატიო მოქალაქე, გრანინი წერს:

„დღეს, ადამიანური ფასეულობების ხელახალი გააზრების ეპოქაში, როდესაც ფაშიზმის ფეკალური მასები კვლავ მარშირებენ ევროპაში, ომის ბავშვების ჩვენებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ეს ჩვენებები გვეხმარება დავუბრუნდეთ და კვლავ დავუკავშირდეთ ჩვენს საკუთარ თავს, იმ მიწას, სადაც ჩვენ დავიბადეთ (საბჭოთა კავშირი - ჯ.ჯ.)... ჩვენი ეპოქის ბავშვებისთვის ომის ბავშვების ხმები მნიშვნელოვან რეზონანსს მიაღწევენ... ერთია, როცა მასწავლებელი გიკითხავს დაფასთან ლექციებს ომზე, და სულ სხვაა, როცა შენი თანატოლი საუბრობს მასზე შენთან ერთად, არა აქვს მნიშვნელობა რომ ეს 70-წლიანი დისტანციიდან ხდება."

ილიას გლაზუნოვი, თავის წინასიტყვაობაში, იხსენებს გერმანელ ომის პატიმრებს, რომლებიც მოსკოვის ცენტრში გაატარეს 1945 წელს:

„ეს ჟამი პროცესია უსასრულო ჩანდა. ზოგიერთი მოდიოდა ამაყად, გამოხატავდა გულგრილობას მის გარშემო შემოკრებილი მოსკოველების მიმართ. მე ვიდექი ხალხში, და დიდი ცნობისმოყვარეობით ვუყურებდი მათ, ვინც ახლახანს ბომბავდა ჩვენს საყვარელ პეტროგრადს, აბუჩად იგდებდა „არასრულფასოვან სლავურ რასას". მე მათ ტრიუმფატორის ზიზღით ვუყურებდი...და სიძულვილით. მე უკვე 14 წლისა ვიყავი. ვერავინ წარმოიდგენდა მაშინ, რომ დამარცხებულები უკეთესად იცხოვრებდნენ, ვიდრე გამარჯვებულები... მილიონობით რუსი ჯარისკაცი, ვინც დაეცა ბრძოლის ველზე, შეძრწუნდე-

სურათი 2: ოჯახების სადღესასწაულო მსვლელობა ტამბოვში, მიხეილ კარასევის ფოტო[9]

ბოდა, ვერც კი წარმოიდგენდ, ა რომ ბნელი დრო მოვა - ჩვენი დიადი სახელმწიფოს (საბჭოთა კავშირის - ჯ.ჯ.) დაცემის დღე, იმ სახელმწიფოსი, რომლისთვისაც მათ სიცოცხლე გაწირეს... დღეს ჩვენ უნდა გავზარდოთ ჩვენი სახელმწიფოს ელიტა, ახალი თაობა - გაბედული, ენერგიით სავსე, ჩვენი დიადი სამშობლოსათვის თავდადებული. ეს იქნება დიდ სამამულო ომში გამარჯვებულთა პატივისცემა".

ღია სიძულვილი გამოხატული გრანინისა და გლაზუნოვის მიერ, რეზონირებს პუტინის „აღიარებასთან" გერმანელების მიმართ დამოკიდებულების თაობაზე, რომელიც მან 2015 წელს მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების აღსანიშნავად გამოქვეყნებულ სტატიაში „სიცოცხლე მარტივი რამეა და ბოროტი" გააკეთა[10]: "ჩვენ გავიზარდეთ საბჭოთა კინოზე და წიგნებზე (მეორე მსოფლიო ომის შესახებ - ჯ.ჯ.) და... სიძულვილზე". ომზე საბავშო წიგნის წინასიტყვაობები და პუტინის

9 რუსულ ტელეარხ რასიას რეპორტაჟი ტამბოვში განხორციელებულ ბავშვების სამხედრო ეტლების აღლუმზე (2015). https://vestitambov.ru/new/v-gorodskom-parke-organizovali-parad-kolyasok/ წვდომა 9.11.2023 https://apostrophe.ua/news/society/2015-06-13/den-rossii-v-tambove-proshel-parad-detskih-voennyih-kolyasok/26818 წვდომა 9.11.2023

10 პუტინის სტატია "Жизнь такая простая штука и жестокая" გაზეთში "Русский пионер" მიძღვნილი „დიდ სამამულო ომში" გამარჯვების 70-ე წლისთავს. წვდომა: 29.10.2022 ვებგვერდიდან: https://ruspioner.ru/cool/m/single/4655

სურათი 3: ბავშვების სამხედრო ტანსაცმლის ერთ-ერთი ონლაინ მაღაზიის ფეისბუქ გვერდი "Modnyashky.ru"[11]



ბლოგის რიტორიკა ავლენს, თუ როგორ მოხდა რუსული საზოგადოების მხრიდან გერმანელი ფაშისტების მიმართ არსებული სიძულვილისა და მტრის ხატის განზოგადება და პროეცირება თანამედროვე ევროპასა და დასავლეთზე, რომელიც „ცხოვრობს უკეთ, ვიდრე გამარჯვებულები" (ანუ, რუსები - ჯ.ჯ.). ეს, ასევე, მელანი კლაინის მიერ აღწერილი შურის ავთვისებიანი ფორმის ილუსტრაციაა (Klein, 1975).

განათლების სისტემა რუსეთში უბიძგებს მოსწავლეებს, ბავშვებს, მოზარდებსა და ახალგაზრდებს, და ასევე მათ პედაგოგებსა და ზოგადად, მკვლევარებს, ღრმად შევიდნენ მეორე მსოფლიო ომის თემატიკაში, იკვლიონ ბრძოლები, ეძიონ შინმოუსვლელი ჯარისკაცების საფლავები და ა.შ. მაგ., 2018 წელს გამართულ „პატრიოტული აღზრდის ეროვნულ კონფერენციაზე" მკვლევარებმა

11 2019 წლის 11 იანვრის სარეკლამო პოსტი, https://www.facebook.com/1540548512709127/posts/1942179069212734/ წვდომა 9.11.2023

წარმოადგინეს ისეთი კვლევები, როგორიცაა: „მძიმე სარაკეტო არტილერია ვორონეჟის ფრონტზე თავდაცვითი ბრძოლებისა და კურსკის ბრძოლის დროს“, „კურსკის რკალი: ტექნოლოგიისა და სულის ბრძოლა, და მისი მნიშვნელობა რუსული ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდისთვის“, „ყოველდღიური სამხედრო ცხოვრების ფაქტორები: ჯარისკაცების აზრები და გრძნობები დიდი სამამულო ომის ფრონტიდან მოწერილ წერილებში“. შესაბამისად, ახალგაზრდები, უკრაინაზე თავდასხმამდე, უკვე მოცული იყვნენ ომის რეალობით, დეტალურად განიხილავდნენ ომთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორც დღევანდელსა და აქტუალურს.

რუსული მართლმადიდებელი ეკლესია თამაშობს მნიშვნელოვან როლს სამხედრო პროპაგანდაში. ამის ილუსტრაციად ე.წ. „რუსული შეიარაღებული ძალების ტაძარი“ გამოდგება. ამგვარი ეკლესიების შენების ტრადიცია რუსული კულტურის ნაწილია. თუმცა, საბჭოთა პერიოდში, გამომდინარე მისი ათეიზმიდან, არ აღმართულა მეორე მსოფლიო ომის შესაბამისი ეკლესია. ამის გამოსასწორებლად, ომში გამარჯვების 75-ე წლისთავისთვის, აშენდა სამხედრო ტაძარი. მშენებლობა დაიწყო 2018 წლის სექტემბერში და დასრულდა 2020 წელს.

რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალური ინფორმაციით, ეს არის მსოფლიოში ყველაზე მაღალი (95 მეტრი) და ტევადი (იტევს 6,000 ადამიანს) მართლმადიდებლური ტაძარი. შენობის თითქმის თითოეული არქიტექტურული დეტალი სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელია. მაგ., ძირითადი გუმბათის დიამტერი 19.45 მეტრია (რაც ომში გამარჯვების წელს ასიმბოლოვებს); ყველაზე მცირე გუმბათის დიამეტრი 14.18 მეტრია, რაც ომში გატარებული დღეების რაოდენობას ასიმბოლოვებს; ცენტრალური კიბეები აგებულია გერმანული მარმარილოთი, რაც რუსეთის თავდაცვის მინისტრის, სერგეი შოიგუს მიხედვით, ასიმბოლოვებს გერმანელების დამარცხებას, ან როგორც შოიგუმ ტელეარხ „დოჟდის“ პირდაპირ ეთერში[12] განაცხადა - „გერმანელების გათელვას“. წმინდანების ხატების პარალელურად, ეკლესიაში განთავსებულია მათი პორტრეტები, ვისაც რუსეთში სამხედრო ბრძოლების გმირებად მიიჩნევენ, მათ შორის, ვინც ოცდამეერთე საუკუნის ომებში თავი გამოიჩინა. გამარჯვების აღლუმს მიძღვნილ დიდ მოზაიკაზე იყო სტალინის პორტრეტიც, მაგრამ გარკვეული დებატების შემდგომ ის ეკლესიის გვერდზე იგივე კომპლექსში აშენებულ სამხედრო მუზეუმში გადაიტანეს. პუტინის ხატიც დაამზადეს და გამოფინეს ეკლესიაში, თუმცა მან არჩია, რომ ის არ ყოფილიყო მუდმივად გამოფენილი, რამდენადაც ნაადრევად მიიჩნია. ეკლესიაში უხვადაა საბჭოთა სიმბოლოები, მათ შორის კანონიზებული წითელი დროშა ნამგალითა და უროთი. საინტერესოა, რომ ტაძრის ცენტრალურ კედელზე განთავსებული დიდი ღვთისმშობლის ხატი ძალიან გავს 1941 წლის ომის პროპაგანდისტულ პლაკატს „დედა სამშობლო გეძახის“, რომელიც მოსახლეობის საომრად მობილიზებისთვის გამოიყენებოდა (იხ. სურათები 4 და 5).

პუტინის მიერ ომზე მიმართული პოლიტიკური დღის წესრიგის ცხოვრებაში გატარებასა და საზოგადოებაში მეორე მსოფლიო ომის სენტიმენტების აღორძინებასთან ერთად, უკანასკნელ ორ ათწლეულში რუსეთში გაიზარდა სამხედრო ძალების მიმართ დადებითი დამოკიდებულება. ეს ცვლილება აისახა როგორც საზოგადოებრივ განწყობებში, ასევე სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში ჩადებულ სახელმწიფო ინვესტიციებში. როგორც ანალიტიკოსები

12 რუსული სამხედრო ტაძრის გახსნის გაშუქება ტელე-არხი „დოჟდის“ მიერ (რუსულად),https://www.youtube.com/watch?v=-zPBfB-Tneg&t=211s , წვდომა 8.11.2023

აღნიშნავენ (Soldatov & Borogan, 2022), სამხედრო ძალებმა, სერგეი შოიგუს ხელმძღვანელობით, მოიპოვეს მზარდი გავლენა ქვეყნის საშინაო პოლიტიკის შემუშავებაზე, განსაკუთრებით 2014 წელს ყირიმის აღებისა და 2015 წელს სირიაში განხორციელებული წარმატებული სამხედრო ოპერაციის შემდეგ. ეს გამარჯვებები შოიგუმ (და პუტინმა) ეფექტურად გამოიყენეს პიარისთვის. მაგალითად, 2019 წელს მოეწყო ფართომასშტაბიანი მობილური გამოფენა, რომელშიც წარმოდგენილი იყო სირიიდან ამოღებული იარაღი და სამხედრო ტექნიკა. გამოფენას „უმასპინძლა“ მატარებელმა, რომელიც მოსკოვიდან ვლადივოსტოკში გაემგზავრა, და გზად 60 გაჩერება გააკეთა, რათა ადგილობრივი მოსახლეობა მიეზიდა დასათვალიერებლად. შოიგუმ, ასევე, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსული საზოგადოების „დროის კოლაფსში“[13]: 2017 წლიდან მან გამოსცა ბრძანება, რომ თანამედროვე სამხედრო ფორმა რუსულ ჯარში შეცვლილიყო 1940-იანი წლების სტილის სამხედრო ფორმით, რომელსაც რუსეთში „გამარჯვებულების უნიფორმას“ უწოდებენ (ყოველ შემთხვევაში, ასე იყო უკრაინაზე თავდასხმამდე). გარდა ამისა, შოიგუმ გააუქმა ზურგის სამხედრო უნიფორმა და ამით გაავრცელა სიმბოლური გზავნილი, რომ არმია მზად უნდა იყოს ბრძოლისთვის ნებისმიერ ადგილას, და რომ ქვეყანაში არ არსებობს ომისგან თავისუფალი სივრცე.

13 ეს ტერმინი შემოიტანა ვამიკ ვოლკანმა (Volkan, 1997) რომ ეჩვენებინა ცნობიერი და არაცნობიერი კავშირი დიდი ჯგუფის მიერ განცდილ წარსულ ისტორიულ ტრავმასა და მიმდინარე (აქტუალურ ან წარმოსახვით) საფრთხეს შორის. დროის კოლაფსი გულისხმობს, რომ საზოგადოებისთვის იშლება ზღვარი წარსულ ტრავმულ გამოცდილებასა და დღევანდელ ნამდვილ ან წარმოსახვით საფრთხეს შორის. დიდი ჯგუფი მენტალურად (ემოციებით, ფიქრებით) წარსულში ბრუნდება.

უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე მეორე მსოფლიო ომის თემა პუტინის ხელისუფლების მიერ აქტიურად იყო წინ წამოწეული სხვადასხვა დონესა და ფორმატში. მედია კონტენტის მნიშვნელოვანი მოცულობა - ტელეშოუების, ტელედებატების, სერიალების ჩათვლით, ეძღვნებოდა „დიდ სამამულო ომს“. ათასობით ისტორიკოსი იკვლევს მეორე მსოფლიო ომის ამა თუ იმ საკითხს, გარკვეული ბრძოლების მცირე დეტალებსაც კი. ამგვარ კონცეტრირებას მეორე მსოფლიო ომის თემაზე მოყვა უამრავი წიგნის პუბლიკაცია, კონფერენციები, სპექტაკლები - როგორც თეატრებში, ასევე საბავშვო ბაღებსა და სკოლებში. რუსული საზოგადოება მოცული გახდა ომის თემით.

პარალელურად, პუტინმა მოახდინა თანამედროვე გეოპოლიტიკური პროცესების იმგვარი ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც რუსეთი მტრულ გარემოცვაშია, მას ემუქრება საფრთხე დასავლეთის მხრიდან, რაც მას, შეტევის გარდა, არ უტოვებს სხვა არჩევანს. მაგალითად, უკრაინაზე თავდასხმის დღეს, 24 თებერვალს, თავის მედია მიმართვაში, რომლითაც ის უკრაინაში შეჭრას ამართლებდა, მან თქვა: “ნატო სტაბილურად ფართოვდება, სამხედრო მანქანა მოძრაობს და უახლოვდება ჩვენს საზღვრებს... თქვენ და მე უბრალოდ არ დაგვრჩა რაიმე შესაძლებლობა დავიცვათ რუსეთი, ჩვენი ხალხი, გარდა ერთი შესაძლებლობისა, რომელიც ჩვენ იძლებული გავხდით, რომ დღეს გამოგვეყენებინა“ (გულისმობს უკრაინზე თავდასხმას - ჯ.ჯ.).

გარე საფრთხეების იდენტიფიკაციასთან ერთად, პროპაგანდამ, ასევე, შექმნა „შიდა მტრებიც“ - ძირითადად, სამოქალაქო საზოგადოების ლიდერები და ორგანიზაციები. ამის იურიდიული საფუძველი „უცხო ქვეყნის აგენტის“ კანონმა მოამზადა. „უცხო ქვეყნის აგენტის“ იდეა, ფაქტობრივად, იმეორებს სტალინის პერიოდში კაგებეს მიერ რეპრესიების გასამართლებლად

სურათი 4: ღვთისმშობლის ხატი რუსული სამხედრო ეკლესიიდან, წვდომა 4.10.2021: https://foto.patriarchia.ru/news/velikoe-osvyashchenie-glavnogo-khrama-vooruzhennykh-sil-rossii-2020-06-14/

სურათი 5: 1941 წელს მხატვარი ირაკლი თოიძის მიერ შექმინილი ომის პროპაგანდისტული პლაკატი "დედა სამშობლო გეძახის"

272. Тоидзе И.
Родина-мать зовет! 1941

ინსტრუმენტალიზებულ „ხალხის მტრის“ სტიგმას.

ყოველივე ზემოაღნიშნული ავლენს, თუ თანდათანობით როგორ ინტეგრირდა მეორე მსოფლიო ომისა და სტალინის ეპოქის სინამდვილე რუსეთის კოლექტიურ ცნობიერებაში და განაპირობა „დროის კოლაფსი“ (Volkan, 1997) - მდგომარეობა, რომლის დროსაც გადაუმუშავებელი ტრავმული წარსული ცოცხლდება საზოგადოების ცნობიერებაში აწმყოში და განაპირობებს დესტრუქციულ ფსიქოდინამიკას. ეს მდგომარეობა ასევე შეიძლება მეტაფორულად აღიწეროს, როგორც „კოლექტიური ფლეშბექი“.

ერის მხსნელად საკუთარი თავის პოზიციონირებას პუტინისთვის პოლიტიკური სარგებელი მოაქვს. ამ იმიჯის შესანარჩუნებლად ის მუდმივად ახდენს საზოგადოების ბინარულ დაყოფას („ცუდები“ და „კარგები“), და „ცუდების“ (შიდა და გარე მტრის) ხატის პროეცირებას სხვადასხვა სუბიექტზე (ჩეჩნები, ოლიგარქები, საქართველო, უკრაინა, და ა.შ.). მის გამარჯვებებს ამ მტრებთან ბრძოლებში (ჩეჩნეთის მეორე ომი 2000 წელს, „ანტიტერორისტული ოპერაციები“ ჩრდილოეთ კავკასიაში 2002-2006 წლებში, ომი საქართველოს წინააღმდეგ 2008 წელს, ყირიმის ოკუპაცია 2014 წელს, სამხედრო კამპანია სირიაში 2015 წელს) და ზოგადად, პუტინის აგრესიულ სამხედრო პოლიტიკას (თავდასხმა უკრაინაზე 2022 წელს) თან ახლავს ელექტორალური მხარდაჭერის ზრდა (იხ. სურათი 6).

პუტინის, როგორც ერის მხსნელის იმიჯს „კვებავს“ ნარცისტული იდეოლოგია, რომელიც იღებს სათავეს მეოცე საუკუნის რუსეთის ფსევდოინტელექტუალების, განსაკუთრებით ლევ გუმილიოვის იდეებიდან. გუმილიოვმა თავისი ახალგაზრდული წლების უმეტესი ნაწილი საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებში გაატარა. სტალინის სიკვდილის მერე ის გამოუშვეს, მან სამეცნიერო კარიერა გააკეთა, და შექმნა თეორია, რომლის მიხედვითაც რუსები არიან გენეტიკურად განსხვავებული, გააჩნიათ სპეციალური ენერგია (ე.წ. პასიონარობა), და მისია - შეცვალონ სამყარო. გუმილიოვის თანახმად, რუსეთი არის ევრაზიული ცივილიზაციის მატარებელი, რომლის მისიაა დაიცვას და გადაარჩინოს სხვა - ე.წ. „ქვე-ცივილიზაციები“. გუმილიოვის იდეები რუსეთში განსაკუთრებით პოპულარული საბჭოთა კავშირის დანგრევის მერე გახდა, მომავლის მიმართ მაღალი შფოთვის, ნაციონალური იდენტობის კრიზისისა და ეროვნული პროექტის არქონის პირობებში. გუმილიოვის შემდგომი თაობის რუსმა ფესვდოინტელექტუალებმა (ალესანდრ დუგინი, პიოტრ შჩედრავიცკი, ეფიმ ოსტროვსკი და სხვ.) მისი თეორია იდეოლოგიად გადააქციეს, და შვეს რუსული სამყაროს („რუსსკი მირ“) იდეოლოგემა, რომელსაც ძირითადად ეფუძნება პუტინის პოლიტიკა. „რუსსკი მირს“ გააჩნია სამი განზომილება: კულტურულ-ცივილიზაციური (რაც ხაზს უსვამს „რუსულ ცივილიზაციას“ როგორც უნიკალურს და სხვა ცივილიზაციების გამაერთიანებელს), გეოპოლიტიკური (რომელიც ხაზს უსვამს ტერიტორიების კონტორლსა და გადანაწილებას), და რელიგიური (რომელიც ხაზს უსვამს რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის როლს). რუსეთი მოწოდებულია დაიცვას „რუსსკი მირი“ რუსეთის შიგნით და მის გარეთ - მაგალითად, სხვა ქვეყნებში რუსი ემიგრანტები, ყოფილი საბჭოთა მოქალაქეები, რუსულად მოლაპარაკე ეთნიკური უმცირესობები და ა. შ. (Jilge, 2016 Kudos, 2010; Tiido, 2015). ეს რუსეთს სხვა ქვეყნებზე „რუსსკი მირის დასაცავად“ თავდახსმის საბაბს აძლევს (რაც, აგრეთვე, შესაბამის კანონმდებლობით განმტკიცდა პუტინის მმართველობის პერიოდში). ჰიბრიდული ომის ფარგლებში, ტერიტორიული პრეტენზიების გასამყარებლად, რუსეთი აფუძნებს ბევრ რუსულენოვან დასკვნები

ე.წ. კულტურულ ორგანიზაციას ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში, რათა იქ „რუსსკი მირი“ დანერგოს, ან გააცოცხლოს, რადგან ამ ქვეყნების ახალგაზრდა თაობები ხშირად არ საუბრობენ რუსულად.

დასკვნები და მსჯელობა გადაჭრის შესაძლო გზებზე

გადაუმუშავებელი კოლექიური ტრავმა შესაძლოა გახდეს პოლიტიკური მანიპულაციების ინსტრუმენტი დესტრუქციული პოლიტიკური ლიდერის ხელში. რუსეთის შემთხვევაში, ჩვენ გავხდით მოწმე იმისა, თუ როგორ გამოიყენა პუტინმა გადაუმუშავებელი კოლექტიური ტრავმები, შექმნა ჩანაცვლებითი ტრავმა და მოახდინა მოსახლეობის მობილიზება ამ ჩანაცვლებითი ტრავმის გარშემო, მსხვერპლობისა და რევანშიზმის განცდების გაღვიძებით. ამგვარმა მობილიზაციამ შეამზადა ნიადაგი რუსეთის უკრაინაზე სრულმასშტაბიანი თავდასხმისათვის. ეს თავდასხმა წინასწარმეტყველებადი იყო.

ფსიქოტრავმატოლოგიას, როგორც დარგს, შეუძლია წვლილი შეიტანოს არა მხოლოდ სტრესთან დაკავშირებული დაავადებების პრევენციასა და მკურნალობაში, არამედ კოლექტიური ტრავმული გამოცდილებების გავლენით მიმდინარე სოციო-პოლიტიკური პროცესების გაგებაში, რაც მნიშვნელოვანია ავთვისებიანი სოციო-პოლტიკური განვითარების პრევენციის, ადრეული გამოვლენისა და ზიანის შემცირებისთვის.

მას მერე, რაც დესტრუქციული (მაგ., ტოტალიტარული) პოლიტიკური რეჟიმი დამთავრდება, მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებამ/ქვეყანამ და ყველა დაინტერესებულმა სუბიექტმა, საერთაშორისო საზოგადოების ჩათვლით, გააცნობიერონ წარსულთან გამკლავების მნიშვნელობა. აუცილებელია, მათ იცოდნენ (ან ღია იყონ იმისთვის, რომ ისწავლონ), თუ როგორ შეუწყონ ხელი საზოგადოებას ტრავმული წარსულის გადამუშავებაში, სამართლიანი და ამავე დროს, აღდგენითი გზით. ეს საზოგადოების მიერ სათანადო გაკვეთილების გამოტანისა და ვითარების გაჯანსაღების პირობებს შექმნის.

დესტრუქციული პოლიტიკური რეჟიმის ნგრევის მერე ქვეყანა/საზოგადოება მრავლობითი (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და ა.შ.) კრიზისის გამკლავებისა და თვითგადარჩენის ამოცანების წინაშე დგება. მნიშვნელოვანია, რომ ამგვარ ქაოტურ კონტექსტში, საზოგადოებამ არ გადადოს წარსულთან გამკლავება „სხვა დროისთვის“. პირიქით, წარსულთან გამკლავება უნდა განისაზღვროს, როგორც უალტერნატივო პრიორიტეტი. პოლიტიკურმა ნებამ აქ საკვანძო როლი უნდა შეასრულოს. სწორედ ამიტომ, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქვეყნის პოლიტიკური ლიდერების ცნობიერების ამაღლება იმის თაობაზე, რომ წარსულთან გამკლავება არ არის ფუფუნება, და აგრეთვე იმაზე, თუ რა, რატომ და როგორ უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ საზოგადოებას „წარსული მომავალში არ დაუხვდეს“, არ მოხდეს „დროის კოლაფსი“, და არ დააბრუნოს ტოტალიტარულ ყოფაში, როგორც ეს რუსეთში მოხდა.

ფსიქიკური ჯანმრთელობის პროფესიონალები უნდა იყონ ფხიზლად ტოქსიკური პოლიტიკური ლიდერების მიმართ, თვალი გაუსწორონ შესაბამის პროფესიულ დილემებს და იმუშავონ მათ გადაჭრაზე, რათა ხელი შეუშალონ ამგვარ ლიდერებს არაჯანსაღი სოციო-პოლიტიკური პროცესების წაქეზებაში (Lee, 2017).

წარსულთან გამკლავებას ესაჭიროება მრავალგანზომილებიანი, მთელი რიგი საკვანძო მიმართულების შემცველი პროცესი. ქვემოთ გთავაზობთ ამ პროცესის ზოგიერთ კომპონენტზე მსჯელობას:

სურათი 6: პუტინის მოწონების რეიტინგი (Levada Center, 2022)[14]



- მართლმსაჯულება. ტოქსიკური პოლიტიკური რეჟიმები, განსაკუთრებით ტოტალიტარული რეჟიმები, საზოგადოებას ამწყვდევს ძალადობის სამკუთხედში, სადაც საზოგადოების ნაწილი რეჟიმის მსხვერპლია, ნაწილი აგრესორი, ხოლო ნაწილი კი გვერდიდან უყურებს ამ ძალადობას და დუმს. ეს როლები ხშირად მონაცვლეობს - მაგ., აგრესორი მსხვერპლი ხდება, როგორც ხშირად ხდებოდა სტალინის დროს საბჭოთა კავშირში. ამგვარი პოლიტიკური რეჟიმის შემდგომ ქვეყანაში მართლმსაჯულების პროცესი ისე უნდა წარიმართოს, რომ უზნრუნველყოს პირობები, რომლის დროსაც აგრესორი აღიარებს თავის დანაშაულსა და ადამიანების უფლებების შელახვას (1), გვერდიდან მაყურებელი დაადასტურებს მსხვერპლისთვის მიყენებულ ზარალს (2), ხოლო მსხვერპლი მიიღებს მორალურ, მატერიალურ, პროცედურულ დაკმაყოფილებას (3). ლუსტრაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამავე დროს, აქ უაღრესად მნიშვნელოვანია აღდგენითი მართლმსაჯულების მექანიზმების ამოქმედება, რათა მომავალში დროის კოლაფსისა და წარსულის განმეორების რისკები შევამციროთ.

- გლოვისა და შესაბამისი კულტურული რიტუალების ხელშეწყობა. მნიშვნელოვანია ინდივიდების/ოჯახების/თემის/საზოგადოების ხელშეწყობა დანაკლისის გამოგლოვებაში, შესაბამისი კულტურული რიტუალების ჩატარებაში. აქ მნიშვნელოვანია გავიხსენოთ, რომ რეპრესირებულთა ოჯახებს თავის დროზე არ ჰქონდათ თავისი დაღუპული ოჯახის წევრების (საბჭოთა კავშირის შემთხვევაში - „ხალხის მტრების“) კულტურული ტრადიციების შესაბამისად გამოგლოვების საშუალება.

- ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოსოციალური დახმარების მომსახურება. ამგვარი სერვისები უნდა იყოს ხელმისაწვდომი გეოგრაფიულად, ფინანსურად, ასაკობრივად, პასუხობდეს არსებულ

14 ლევადა ცენტრის ოფიციალური ვებრგვერდი https://www.levada.ru/en/ratings/ წვდომა 30.09. 2023

მოთხოვნასა და საჭიროებებს; უნდა განვითარდეს როგორც ტრავმის თაობაზე ინფორმირებული, ასევე ტრავმაზე ფოკუსირებული სერვისები.

- მეხსიერების პოლიტიკა და სტრატეგიები. უნდა მოხდეს ტრავმული წარსულის მეხსიერების პოლიტიკის შემუშავება და ცხოვრებაში გატარება. მეხსიერების პოლიტიკამ უნდა შეუწყოს ხელი ტრავმული გამოცდილების გააზრებასა და მასში კონსტრუქციული საზრისის ჩადებას, შესაბამისი გაკვეთილების გამოტანას (მომავალში იგივეს განმეორების რისკის შესამცირებლად), პიროვნულ ზრდასა და საზოგადოებრივ განვითარებას.

- აკადემიური კვლევის ხელშეწყობა. აუცილებელია ეთიკური აკადემიური კვლევის ხელშეწყობა წარსულის შესასწავლად და შესაბამისი გაკვეთილების გამოსატანად.

- ხელოვანების მონაწილეობის ხელშეწყობა. მნიშვნელოვანია ხელოვანთა ჩართულობა, რათა დანაკლისის სიმბოლიზება, და იმედისა და სტრესმედეგობის წინ წამოწევა მოხდეს.

ეს მიმართულები ერთმანეთის სინერგიულია. წარსულთან გამკლავება საზოგადოების ზიარი პასუხისმგებლობაა და მოითხოვს კოორდინირებულ და შეთანხმებულ ძალისხმევას.

ლიტერატურის სია:

Atwal, M. & Bacon, E. (2012). The youth movement Nashi: contentious politics, civil society, and party politics, East European Politics, 28:3, 256-266, DOI: 10.1080/21599165.2012.691424

Geert E. Smid (2020). A Framework of Meaning Attribution Following Loss, European Journal of Psychotraumatology, 11:1, DOI: 10.1080/20008198.2020.1776563

Gould-Davies, N. (2020). What Vladimir Putin Tells Us About His Relations to The West. International Institute of Strategic Studies. URL: https://www.iiss.org/blogs/analysis/2020/07/putins-relations-with-the-west

Hopper, E. (2003). Traumatic Experience in the Traumatic Life of Groups: The ForthBasic Assumption: Incohession: Aggregation/Massification or (ba) I:A/M. London &New York: Jessica Kingsley Publishers

Jilge, W. (2016). Russki Mir: Russian World. On the Genesis of Geopolitical Concept and it 's effect on Ukraine. Discussion Moderated by Stefan Meister, DGFP https://dgap.org/en/events/russkiy-mir-russian-world

Kazlauskas, E., Gailiene, D., Vaskeliene, I., & Skeryte-Kazlauskiene, M. (2017). Intergenerational Transmission of Resilience? Sense of Coherence Is Associated between Lithuanian Survivors of Political Violence and Their Adult Offspring. Frontiers in Psychology, 8. doi:10.3389/fpsyg.2017.01677

Kovalyova, A. (2013). Is Vladimir Putin Rewriting Russia's History Books? NBC News. URL (retrieved on March 7, 2022): https://www.nbcnews.com/news/world/vladimir-putin-rewriting-russias-history-books-flna2d11669160

Kyle, J. & Gultchin, L. (2018). Populists in Power Around the World. Tony Blair Institute for Global Change. Retrieved on August 30, 2022, from: https://institute.global/sites/default/files/articles/Populists-in-Power-Around-the-World-.pdf

Kudos, (2010). "Russian World" – Russia's Soft Power Approach to Compatriots Policies. In: Russian Public Relation Activities and Soft Power: 81/10, 2-6 https://www.research-collection.ethz.ch/bitstream/handle/20.500.11850/26212/eth-2215-01.pdfalism

Lee, B.X. (2017). The Dangerous Case of Donald Trump: 27 Psychiatrists and Mental Health Experts Assess President. New York: NY, Saint Martin's Press

Levada Center (2022). Putin's Approval by Years. Retrieved on April 2, 2022 from: https://www.levada.ru/en/

Maercker A (2023) How to deal with the past? How collective and historical trauma psychologically reverberates in Eastern Europe. Front. Psychiatry 14:1228785. doi: 10.3389/fpsyt.2023.1228785

Evgenia Milman, Robert A. Neimeyer, Marilyn Fitzpatrick, Christopher J. MacKinnon, Krista R. Muis & S. Robin Cohen (2017) Prolonged grief symptomatology following violent loss:

the mediating role of meaning, European Journal of Psychotraumatology, 8:sup6, DOI: 10.1080/20008198.2018.1503522

Huibertha B. Mitima-Verloop, Paul A. Boelen & Trudy T. M. Mooren (2020) Commemoration of disruptive events: a scoping review about posttraumatic stress reactions and related factors, European Journal of Psychotraumatology, 11:1, DOI: 10.1080/20008198.2019.1701226

Roginski, A., Zhemkova, E. (2016). In-between of Sympathy and Indifference (in Russian language). Memorial. Retrieved on 26 of August, 2022 from: https://www.memo.ru/media/uploads/2017/08/22/mezhdu-sochuvstviem-i-ravnodushuem_reabilitacia-zhertv-sovetskikh-repressiy.pdf

Soldatov, A. & Borogan, I. (2022). The Man Behind Putin's Military. How Sergei Shoygu Paved the Way to Russians Ukraine Assault. Foreign Affairs, Retrieved on April 2: https://www.foreignaffairs.com/articles/2022-02-26/man-behind-putins-military?utm_medium=social

Tiido A. (2015). The «Russian World»: the blurred notion of protecting Russians abroad. Polski Przegląd Stosunków Miądzynarodowych. Warszawa: Uniwersytet Kardynała S. Wyszyąskiego, 5, 131—151. file:///Users/janajavakhishvili/Downloads/2413-Tekst%20artyku%C5%82u-3843-1-10-20180503.pdf

Volkan, V. D. (1997). Bloodlines: From Ethnic Pride to Ethnic Terrorism. New York: Farrar, Straus and Giroux

Volkan, V.D. (2006). What Some Monuments Tell us about Mourning and Forgiveness. In: Barkan, E., Karn, A. (eds), Taking Wrongs Seriously: Apologies andReconciliation. Stanford, CA: Stanford University Press. 115-131

Volkan, V.D., Fowler, C. (2009). Large-group Narcissism and Political Leaders with Narcissistic Personality Organization. Psychiatric Annals, Vol: 39 (4), 214-223

Volkan, V. D. (2019). Large-group Identity, Who Are We Now? Leader-Follower Relationships and Societal-Political Divisions. The American Journal of Psychoanalysis, 79(2), 139–155. doi:10.1057/s11231-019-09186-2

Volkan, V. & Javakhishvili, J.D. (2022). Invasion of Ukraine: Observation on Leader-Followers Relationships. The American Journal of Psychoanalysis, vol.82, November 2, pp: 189-2010

Yakovlev, V. (2016). I was called Vladimir in honor of my grandfather. Retrieved on August 15, 2022 from: https://www.ogkochetkov.ru/blog/detail/post-vladimira-jakovleva-menja-nazvali-v-chest-deda-ehto-krik-dushi/#.YwZCFOxBx-U